

უწყვეტი განათლების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება - ფრანგული ენის შესწავლა მულტიმედიური რესურსებით

პროგრამის მოცულობა: 18 სთ.

პროგრამის ხანგრძლივობა – 5 დღე, დღეში 3 საკონტაქტო სთ. (ყოველ შაბათს 5 კვირის განმავლობაში).

პროგრამის განხორციელების ადგილი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, V კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა – ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 15; მაქსიმალური რაოდენობა - 30.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა – 1 მასწავლებელი.

პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ენების ცენტრის ფრანგული ენის მასწავლებელი *თამარ ქაცანაშვილი*.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი – ფრანგული ენის ცოდნის A2 დონე. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თსუ სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები, რომლებსაც აქვთ სურვილი გაეცნონ ფრანგული ენის შესასწავლ მულტიმედია რესურსებს.

პროგრამის ღირებულება – 50 ლარი.

პროგრამის შემუშავების თარიღი – 2014 წლის მარტი.

პროგრამის შინაარსი

პროგრამის მიზნები და ამოცანები – ფრანგული ენის შემსწავლელთა მოტივაციისა და უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის შემოთავაზებული წინამდებარე სასწავლო კურსის მიზანია სწავლის პროცესში ფრანგული ენის დამოუკიდებლად შესასწავლი მულტიმედიური რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევების დანერგვა ენის შემსწავლელებში.

დასახული მიზნის მისაღწევად, კურსი შემდეგი ამოცანების გადაჭრას ითვალისწინებს :

- ✓ მულტიმედიური რესურსების შერჩევა-დახარისხება ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტის „საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო ენათა სწავლებისათვის“ დონეთა შესაბამისად;
- ✓ მასწავლებელი-მედიატორის მიერ შერჩეული რესურსების პრეზენტაცია ფრანგული ენის სხვადასხვა კომპეტენციის (**მოსმენა, კითხვა, გრამატიკა/ორთოგრაფია, ლექსიკა, ფონეტიკა**) დასაუფლებლად;
- ✓ ენის შემსწავლელთა მიერ დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში დასმული შეკითხვებზე პასუხების გაცემა და წამოჭრილი სირთულეების ანალიზი ელექტრონული სწავლების პროგრამით *MOODLE*.
- ✓ კონკრეტული ენის შემსწავლელის მიზნებიდან და სისუსტეებიდან გამომდინარე, სპეციალურად მორგებული დამატებითი მასალების მიწოდება ელექტრონული სწავლების პროგრამით *MOODLE*;
- ✓ სხვადასხვა პროფესიის ენის შემსწავლელთა მიზნებიდან გამომდინარე, დარგობრივი ფრანგული ენის შესასწავლი მულტიმედია-რესურსებით ელექტრონული სწავლების პროგრამით *MOODLE* მომარაგება.

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები - სასწავლო კურსის გავლის შედეგად :

- ენის შემსწავლელებს ექნებათ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფრანგული ენის შესასწავლად შექმნილი სხვადასხვა ტიპის მულტიმედიური რესურსის შესახებ;
- შეძლებენ ხარისხიანი ავთენტური მულტიმედიური რესურსების საკუთარ მიზნებს მორგებას და მათ გამოყენებას სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის გასაღრმავებლად;
- გაეცნობიან მსხვილ მედია პორტალებს; შეასრულებენ მრავალფეროვან, განსხვავებულ თემატიკაზე აგებულ პრაქტიკულ სავარჯიშოებს;

- შეძლებენ ინტერნეტში სხვადასხვა დონის, თემატიკისა და შინაარსის მქონე ფრანგული ენის შესასწავლი სავარჯიშოების პრაქტიკაში გამოყენებას, რაც ფრანგული ენის ნახევრად დამოუკიდებლად შესწავლაში დაეხმარებათ.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი – პროგრამა შედგება ხუთი მოდულისაგან :

- ✓ მოსმენა (3 სთ.);
- ✓ კითხვა (3 სთ.);
- ✓ გრამატიკა/ორთოგრაფია (3 სთ.);
- ✓ ლექსიკა (3 სთ.);
- ✓ ფონეტიკა (3 სთ.);
- ✓ პრეზენტაცია (3 სთ.)

თითოეული მოდული დაეთმობა შემდეგ ძირითად თემებს:

მოდული	თემა
მოსმენა	მოსმენის უნარის გამოსამუშავებელი ვიდეო/აუდიო მასალები + ინტერაქტიული სავარჯიშოები
კითხვა	ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებელი მულტიმედიური მასალები + ინტერაქტიული სავარჯიშოები
გრამატიკა/ორთოგრაფია	გრამატიკა/ორთოგრაფიის შესასწავლი ონლაინ მასალები და ავტოკორექტული სავარჯიშოები
ლექსიკა	ლექსიკის გამდიდრებისთვის შემუშავებული (ხშირ შემთხვევაში, აუდიო) ინტერნეტ რესურსები
ფონეტიკა	წარმოთქმის გაუმჯობესებისთვის შექმნილი ონლაინ აქტივობები

სწავლების მეთოდოლოგია: პროგრამის მსვლელობისას გამოყენებული იქნება სწავლის პროცესის აქტივიზაციის ხერხები და მეთოდები : ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია), კომპიუტერთან მუშაობის მეთოდი (დამოუკიდებელი და ახსნითი), პრაქტიკულ-ვარჯიშობითი (ე.წ.პრაქტიკული სავარჯიშოები), სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მაგალითად, თვალსაჩინოების, ინდივიდუალური მიდგომის, სისტემატურობის და თანამიმდევრობის პრინციპები და სხვ.). ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები ელექტრონული სწავლების პორტალის MOODLE მეშვეობით.

პროგრამის შინაარსი, ძირითადი თემები და საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო გეგმა

მოდული	საკითხები	მედიაგრაფია	საკონტ. საათები
მოსმენა			3 საათი
	<p>ფრანგული ენის შესასწავლად შექმნილი ორი უმსხვილესი პორტალის მიერ (Bonjour de France, Le point du FLE) შექმნილი მოსმენის უნარის გასაუმჯობესებელი აქტივობების პრეზენტაცია.</p> <p>მედიაპორტალების TV5-ისა და RFI-ის მიერ ფრანგული ენის შესასწავლი რუბრიკებით წარმოდგენილი მოსასმენი აქტივობებისა და ავტოკორექტული სავარჯიშოების პრეზენტაცია;</p> <p>სხვადასხვა ტიპის ონლაინ ლექსიკონებისა და მულტიმედია ენციკლოპედიების პრეზენტაცია;</p> <p>დარგობრივი ფრანგული ენის მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად შექმნილი</p>	<p>http://www.bonjourdefrance.com/index/indexapp.htm</p> <p>http://www.lepointdufle.net/audio.htm</p> <p>http://apprendre.tv5monde.com/</p> <p>http://www1.rfi.fr/lffr/statiques/accueil_apprendre.asp</p> <p>http://www.lexilogos.com/francais_langue_dictionnaires.htm</p> <p>http://www.canalacademie.co</p>	3 საათი

	<p>ვებ-გვერდის CANALACADEMIE პრეზენტაცია;</p> <p>მოსასმენი დოკუმენტებისა და ავტოკორექტული სავარჯიშოების ნაწილის შესრულება. (2 სთ. ლექცია/1 სთ.პრაქტიკული).</p>	m/apprendre/	
კითხვა			3 საათი
	<p>ფრანგული ენის შესასწავლად შექმნილი პორტალის - Le point du FLE-სა და Français en Ligne-ის მიერ შექმნილი კითხვის უნარის გასაუმჯობესებელი აქტივობების პრეზენტაცია. ფრანგულ და ფრანკოფონულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს მორგებული სხვადასხვა ტიპის ონლაინ სავარჯიშოთა პრეზენტაცია. აუდიო ვერსიით აკომპანირებულ ტექსტთა ანალიზი. (2 სთ. ლექცია/1 სთ.პრაქტიკული).</p>	<p>http://www.lepointdufle.net/contes_et_histoires.htm</p> <p>http://francaisenligne.free.fr/1ire/activites.php</p>	3 საათი
გრამატიკა/ ორთოგრაფია			3 საათი
	<p>პორტალების - Bonjour de France-ის, Le point du FLE-სა და ORTHOLUDE -ის მიერ ფრანგული ენის გრამატიკის შესასწავლად შემუშავებული, სხვადასხვა პრობლემურ საკითხს მორგებული მდიდარი თეორიული მასალა, თანხლებული ავტოკორექტული ონლაინ სავარჯიშოებით.</p> <p>ფრანგული ზმნების საუღლებლად შედგენილი აქტივობების პრეზენტაცია (Bonjour de France; Le point du FLE; ORTHOLUDE);</p>	<p>http://www.bonjourdefrance.com/index/indexgram.htm</p> <p>http://www.lepointdufle.net/grammaire_conjugaison.htm</p> <p>http://www.ortholud.com/exercices_de_grammaire.html</p> <p>http://www.bonjourdefrance.com/exercices-conjugaison/index.html</p> <p>http://www.lepointdufle.net/</p>	3 საათი

	<p>ორთოგრაფიის დასახვეწად შექმნილი აქტივობების პრეზენტაცია + პრაქტიკული სავარჯიშოების ანალიზი (Le point du FLE; ORTHOLUDE).</p> <p>(2 სთ. ლექცია/1 სთ.პრაქტიკული)</p>	<p>conjugaison.htm</p> <p>http://www.ortholud.com/conjugaison.html</p> <p>http://www.lepointdufle.net/orthographe.htm</p> <p>http://www.ortholud.com/exercices_d_orthographe.html</p>	
ლექსიკა			3 საათი
	<p>ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად წარმოდგენილი, თემატურად დალაგებული, გახმოვანებული აქტივობები (Bonjour de France; Le point du FLE; ORTHOLUDE).</p> <p>საკომუნიკაციო სიტუაციები, მეტყველების აქტები (Le point du FLE; ORTHOLUDE; Podcastfrançaisfacile).</p> <p>ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შემუშავებული, სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ონლაინ თამაშები (Bonjour de France; Le point du FLE, Polar FLE, TV5 Monde, ORTHOLUDE)</p>	<p>http://www.bonjourdefrance.com/index/indexvocab.html</p> <p>http://www.lepointdufle.net/vocabulaire.htm</p> <p>http://www.ortholud.com/exercices_de_vocabulaire.html</p> <p>http://www.lepointdufle.net/viequotidienne.htm</p> <p>http://www.ortholud.com/exercices_de_vocabulaire.html</p> <p>http://www.podcastfrançaisfacile.com/englishmenu/french-communication-dialogue-daily-life-listen-to-mp3.html</p> <p>http://www.bonjourdefrance.com/index/indexjeu.htm</p> <p>http://www.lepointdufle.net/jeux-de-lettres.htm</p> <p>www.polarfle.com</p> <p>http://www.tv5.org/cms/chai</p>	3 საათი

		ne-francophone/jeunesse/p-13930-Jeux-et-divertissements.htm http://www.ortholud.com/jeux_divers.html	
	(2 სთ. ლექცია/1 სთ.პრაქტიკული)		3 საათი
ფონეტიკა			3 საათი
	<p>ფონეტიკური წესები; ტრანსკრიპცია; ფრანგულ ენაზე წარმოთქმის გასაუმჯობესებლად შემოთავაზებული ინტერნეტ სავარჯიშოები; თეორიული მასალა, აუდიო რესურსები, პრაქტიკული სავარჯიშოები.</p> <p>(Le point du FLE).</p> <p>(2 სთ. ლექცია/1 სთ.პრაქტიკული)</p>	http://www.lepointdufle.net/phonetique.htm http://francaisenligne.free.fr/ecouter/phonetique.php	3 საათი
პრეზენტაციები			3 საათი
სულ :	15 სთ.		

ძირითადი და დამატებითი მულტიმედია რესურსები :

<http://www.lexilogos.com>

<http://www.bonjourdefrance.com/>

<http://francaisenligne.free.fr/>

<http://www.lepointdufle.net/>

<http://apprendre.tv5monde.com/>

<http://francaisenligne.free.fr/>

<http://babelnet.sbg.ac.at>

<http://www.ortholud.com/>

<http://www.educaserve.com>

<http://www.podcastfrançaisfacile.com/>

www.polarfle.com/

www.omarlecheri.net

<http://www1.rfi.fr/>

[http://françaisenligne.free.](http://françaisenligne.free)

<http://www.canalacademie.com/>

<http://www.ciel.fr/>

სასწავლო კურსის ჩატარების გრაფიკი

კვირა	საკითხი	საკონტაქტო საათები	ტრენერი
I	ფრანგული ენის შესასწავლად შექმნილი პორტალების - Bonjour de France, Le point du FLE, მიერ შექმნილი მოსმენის უნარის გასაუმჯობესებელი აქტივობების პრეზენტაცია; მედიაპორტალების TV5-ისა და RFI-ის მიერ ფრანგული ენის შესასწავლი რუბრიკებით წარმოდგენილი მოსასმენი აქტივობებისა და ავტოკორექტული სავარჯიშოების პრეზენტაცია; სხვადასხვა ტიპის ონლაინ ლექსიკონებისა და მულტიმედია ენციკლოპედიების პრეზენტაცია; დარგობრივი ფრანგული ენის მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად შექმნილი ვებ-გვერდის CANALACADEMIE პრეზენტაცია; პრაქტიკული სავარჯიშოების	2 სთ. ლექცია 1 სთ. პრაქტიკული	თ. ქაცანაშვილი

	შესრულება.		
II	<p>ფრანგული ენის შესასწავლად შექმნილი პორტალის - Le point du FLE-სა და Français en Ligne მიერ შექმნილი კითხვის უნარის გასაუმჯობესებელი აქტივობების პრეზენტაცია. ფრანგულ და ფრანკოფონულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს მორგებული სხვადასხვა ტიპის ონლაინ სავარჯიშოთა პრეზენტაცია. ხშირ შემთხვევაში აუდიო ვერსიით აკომპანირებულ ტექსტთა ანალიზი.</p>	<p>2 სთ. ლექცია 1 სთ. პრაქტიკული</p>	თ. ქაცანაშვილი
III	<p>პორტალების - Bonjour de France-ის, Le point du FLE-სა და ORTHOLUDE-ის მიერ ფრანგული ენის გრამატიკის შესასწავლად შემუშავებული, სხვადასხვა პრობლემურ საკითხს მორგებული მდიდარი თეორიული მასალა, თანხლებული ავტოკორექტული ონლაინ სავარჯიშოებით;</p> <p>ფრანგული ზმნების საუღლებლად შედგენილი აქტივობების პრეზენტაცია (Bonjour de France; Le point du FLE; ORTHOLUDE);</p> <p>ორთოგრაფიის დასახვეწად შექმნილი აქტივობების პრეზენტაცია + პრაქტიკული სავარჯიშოების ანალიზი (Le point du FLE; ORTHOLUDE)</p>	<p>2 სთ. ლექცია 1 სთ. პრაქტიკული</p>	თ. ქაცანაშვილი
IV	<p>ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად წარმოდგენილი, თემატურად დალაგებული, გახმოვანებული აქტივობები (Bonjour de France;</p>	<p>2 სთ. ლექცია 1 სთ. პრაქტიკული</p>	თ. ქაცანაშვილი

	<p>Le point du FLE; ORTHOLUDE);</p> <p>ლექსიკა - საკომუნიკაციო სიტუაციები, მეტყველების აქტები (Le point du FLE; ORTHOLUDE; Podcastfrançaisfacile)</p> <p>ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შემუშავებული, სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ონლაინ თამაშები (Bonjour de France; Le point du FLE, Polar FLE; TV5 Monde; ORTHOLUDE).</p>		
V	<p>ფონეტიკური წესები;</p> <p>ტრანსკრიპცია;</p> <p>ფრანგულ ენაზე წარმოთქმის გასაუმჯობესებლად შემოთავაზებული ინტერნეტ სავარჯიშოები; თეორიული მასალა, აუდიო რესურსები, პრაქტიკული სავარჯიშოები (Le point du FLE; Français en ligne)</p>	<p>2 სთ. ლექცია</p> <p>1 სთ. პრაქტიკული</p>	თ. ქაცანაშვილი
XV	პრეზენტაციები	3 საათი	თ. ქაცანაშვილი

სულ: 18 სთ.

ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამის რაციონალური საფუძვლები – უცხოური ენის შესასწავლი მულტიმედიაური მეთოდების პოპულარიზაციას წინ უსწრებს და საფუძვლად უდევს ე.წ. „საკომუნიკაციო მეთოდის“ გავრცელება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. ოთხმოციანი წლებიდან, ენის სპეციალისტები სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ მეთოდზე, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, გრამატიკულ წესებსა და თარგმანზე ორიენტირებული მეთოდებისაგან, რომლის მთავარ მიზანს, პირველ რიგში, სამიზნე ენაზე ლაპარაკის უნარის შექმნა

წარმოადგენს. ისეთი ლინგვისტიკები, როგორებიც არიან : კლოდ ჟერმენი, ეველინ ბერარდი და სხვები, აქვეყნებენ კვლევებს კომუნიკაციაზე, სიმულაციაზე, როლურ თამაშებზე დაფუძნებულ მეთოდზე, როდესაც ტრადიციული ლინგვისტიკა ჩამოთვლილი აქტივობების სარჩულად განიხილება და უკანა პლანზეა გადაწეული.

უკვე 90-იანი წლების დასაწყისში, ევროსაბჭო იწყებს მუშაობას დოკუმენტზე, რომელიც 1996 წელს ქვეყნდება სახელწოდებით „ენების სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“, სადაც მეტყველებისა და მოსმენის უნარებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ენათა შესასწავლი მულტიმედიური პროგრამების პოპულარიზაციაც სწორედ ზემოთ დასახელებულ თარიღებს ემთხვევა. მულტიმედიის როლი აღნიშნული უნარების დაუფლებაში უდაოა. მეტიც, უცხოური ენების შესასწავლი მულტიმედიური პროგრამები ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა უნარების შესაძენ რესურსთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და შთამბეჭდავ შედეგსაც იძლევა.

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უძღვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების სასწავლო ცენტრის მასწავლებელი - *თამარ ქაცანაშვილი*.

თამარ ქაცანაშვილს გავლილი აქვს ფრანგული ენის სამაგისტრო კურსი გრენობლის (საფრანგეთი) სტენდალის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანგულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდის მიმართულებით, სადაც მუშაობდა ნაშრომზე „ მულტიმედია და ფრანგული ზეპირმეტყველება“. თამარ ქაცანაშვილი არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი და მას აქვს სკოლაში მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, თამარ ქაცანაშვილი თსუ ენების ცენტრის ეგიდით ატარებს ტრენინგებს ფრანგული ენის სწავლებისას უახლესი (მათ შორის, მულტიმედიური) მეთოდების გამოყენების დასანერგად.

მსმენელთა შეფასების სისტემა - მსმენელთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა.

დასწრება - 10 ქულა; **აქტივობა** (მულტიმედია სავარჯიშოების შესრულება, რომელიც გამოიგზავნება დისტანციური სწავლების პორტალზე) - 20 ქულა; **რეფერატი** - 30 ქულა; **პრეზენტაცია** - 40 ქულა.

ხუთივე მოდულის დამუშავების შემდგომ, მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს **რეფერატი** - ხუთგვერდიანი წერილობითი სამუშაოს სახით, რომელშიც

დამუშავებული მულტიმედიური მასალის საფუძველზე, მსმენელს მოეთხოვება ფრანგული ენის შესასწავლი, წინასწარ მითითებული მულტიმედია მეთოდის კრიტიკული ანალიზი. რეფერატი შეფასდება **30 ქულით**.

პროგრამის დასრულების შემდეგ, შედგება ინდივიდუალური **პრეზენტაციები** (Power Point-ში), რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული კომპეტენციის შესაძენად (მოსმენა, კითხვა, ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა) პედაგოგიური სცენარის შემუშავებას ტრენერის მიერ მითითებული, სამი ონლაინ მეთოდის გამოყენებით. პრეზენტაცია ფასდება **40 ქულით**.

პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელია საერთო შეფასების 51%-ის დაგროვება.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები –საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ მეხუთე კორპუსში არსებული კომპიუტერული რესურს–ცენტრით, UTP საკაბელო ინტერნეტ–კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები (Power Point), მულტიმედიური მასალა. პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ ონლაინ კონსულტაციები (დისტანციური სწავლების პროგრამის MOODLE საშუალებით), სადაც დასამუშავებელ მასალათა ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე კვალიფიციურ პასუხს მიიღებენ.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები – იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი ვერ შეძლებს შესაბამისი 51 ქულის დაგროვებას, მას მიეცემა არა სერტიფიკატი, არამედ აკადემიური ცნობა, რომ აღნიშნული პროგრამა, ან მისი რომელიმე მოდული მოისმინა.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები

ფრანგული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ენების ცენტრის ფრანგული ენის მასწავლებელი თამარ ქაცანაშვილი.

თამარ ქაცანაშვილს გავლილი აქვს ფრანგული ენის სამაგისტრო კურსი გრენობლის (საფრანგეთი) სტენდალის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანგულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდის მიმართულებით, სადაც მუშაობდა ნაშრომზე „ მულტიმედია და ფრანგული ზეპირმეტყველება“. თამარ ქაცანაშვილი არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი და მას აქვს სკოლაში მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, თამარ ქაცანაშვილი თსუ ენების ცენტრის ეგიდით

ატარებს ტრენინგებს ფრანგული ენის სწავლებისას უახლესი (მათ შორის, მულტიმედიაური) მეთოდების გამოყენების დასაწერად. იხ. CV

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები – ფრანგული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ V კორპუსში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში.

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	216	30 მ ²

საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ მეხუთე კორპუსში არსებული კომპიუტერული რესურს-ცენტრით, UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით. ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ ონლაინ კონსულტაციები (დისტანციური სწავლების პროგრამის MOODLE საშუალებით), სადაც დასამუშავებელ მასალათა ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე კვალიფიციურ პასუხს მიიღებენ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

- ✓ ფასი ერთ მსმენელზე - 50 ლარი/5 კვირა;
- ✓ ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10; მაქსიმალური რაოდენობა - 30;
- ✓ მასწავლებლის ხელფასი - 15 ლარი/ერთი აკადემიური საათი (საშემოსავლოს ჩათვლით);
- ✓ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მასალის თანხა, პროგრამის ადმინისტრირებისა და კომუნალური გადასახადების თანხები.

პროგრამის ხელმძღვანელი : *თამარ ქაცანაშვილი*, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ენების ცენტრის ფრანგული ენის მასწავლებელი.